სტუ-ის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმის შესრულების 2024 წლის ანგარიში

ანგარიში მომზადებულია სტუ-ის
სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ

თბილისი 2024

სტუ-ის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმის შესრულების 2024 წლის ანგარიში

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების 2024 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ წლიურ ანგარიშს.

დოკუმენტის მიზანია, სტრუქტურული ერთეულების მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მაჩვენებლების იდენტიფიცირება. მონიტორინგი ხორციელდება სტუ-ში დანერგილი ISO:9001 პროცედურების მიხედვით, რაც ხელს უწყობს მიღწეული შედეგებისა და მიმდინარე გამოწვევების გამოვლენას.

2024 წლის წლიური ანგარიშის მომზადების მიზნით, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა შეიმუშავა ***სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგების ფორმა*** და წინა წლის ანგარიშგების საფუძველზე დააკორექტირა **2024 წლის სამოქმედო გეგმა**.

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგების განახლებული ფორმა მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- ამოცანები;
- აქტივობები;
- პასუხისმგებელი სტრუქტურები;
- აქტივობის წამყვანი დეპარტამენტი;

- შესრულების ვადები;
- შესრულების ეტაპი/სტატუსი;
- შესრულების მაჩვენებელი % ;
- შეფერხების მიზეზი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- კომენტარი აქტივობის შესრულების შესახებ.

ამასთან, 2024 წლის განახლებულ სამოქმედო გეგმაში:

- გადატანილ იქნა ყველა ის აქტივობა, რომელიც ვერ დასრულდა 2023 წელს.
- შეტანილ იქნა 2023 წლის სტრუქტურული რეორგანიზაციით გამოწვეული ცვლილებები - დეპარტამენტების სახელწოდების ცვლილება, ახალი დეპარტამენტების შექმნა, ზოგიერთი განყოფილების სხვა დეპარტამენტთან გაერთიანება და სხვ.

ანგარიშგების ფორმა, შესაბამისი აქტივობების შეფასების მიზნით, ელექტრონულად გადაეგზავნა პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს, რომელთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა განახორციელა მონაცემების ვერიფიკაცია და ანალიზი. დამუშავდა დიდი რაოდენობით მასალა - მოხდა მონაცემების დახარისხება, დამუშავება და გაანალიზება რამდენიმე ეტაპად.

სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა შესაბამისი სტანდარტების დაცვით და სტუ-ის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, დაამუშავა წარმოდგენილი ინფორმაცია და საჭიროებიდან გამომდინარე, ვერიფიკაციის მიზნით, დაუბრუნა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს აღნიშნული ინფორმაცია.

პროცესის შემდგომ ეტაპზე, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა მჭიდროდ ითანამშრომლა თითოეულ სტრუქტურულ ერთეულთან - გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, დამატებით ჩანიშნა და განახორციელა არაერთი ინდივიდუალური სამუშაო შეხვედრა.

გამოიკვეთა ისეთი შემთხვევები, სადაც:

- ზოგიერთ აქტივობებში კონკრეტული სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის 2022-2024 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმიდან ამოსაღებია.
- ზოგიერთ აქტივობაში კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის ნაცვლად სხვა დეპარტამენტი უნდა იყოს წამყვანი, ხოლო თავად აქტივობის თანამონაწილე/თანაშემსრულებელი ერთეული.
- რეორგანიზაციის შედეგად ცალკეული სტრუქტურული ერთეულები და ამ ერთეულებთან დაკავშირებული აქტივობები, გამოეყო ყოფილ დეპარტამენტს და ახალ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა, ან სხვა დეპარტამენტის შემადგენლობაში შევიდა განყოფილების სახით, რაც ცენტრალურ სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში ასევე საჭიროებს ცვლილებების შეტანას მომავალი წლიდან.
- ზოგიერთი საერთო აქტივობის შესრულების პროცესში აქტივობის წამყვანი და თანაშემსრულებელი სტრუქტურული ერთეულები ნაკლებად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც ამ მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერებას და კოორდინირებულ, სინქრონულ მუშაობას საჭიროებს.
- საჭიროა დამატებითი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, სტრუქტურული ერთეულების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების ეტაპების გაზომვადობის მიმართ ერთიანი საუნივერსიტეტო კულტურის ჩამოსაყალიბებლად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში						
სტრუქტურული ერთეული	ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	შესრულებული	მეტწილად შესრულებული	ნაწილობრივ შესრულებული	შეუსრულებელი/ გადატანილი 2025-ში
ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი	**3**	**6**	**2**	**0**	**0**	**4**
სასწავლო პროცესების მართვის სამსახური	**10**	**14**	**14**	**0**	**0**	**0**
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრი	**3**	**7**	**5**	**0**	**2**	**0**
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	**10**	**16**	**16**	**0**	**0**	**0**
სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	**4**	**6**	**4**	**0**	**0**	**2**
მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტი	**15**	**18**	**18**	**0**	**0**	**0**
ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი	**3**	**6**	**6**	**0**	**0**	**0**
შესყიდვების დეპარტამენტი	**3**	**5**	**5**	**0**	**0**	**0**
ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის	**2**	**4**	**4**	**0**	**0**	**0**

უსაფრთხოებისა და ლოგისტიკის დეპ.						
მარკეტინგის და კომუნიკაციების ცენტრი	**13**	**21**	**16**	**1**	**4**	**0**
საერთაშორისო აკრედიტაციის ცენტრი	**3**	**8**	**7**	**0**	**1**	**0**
სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი	**7**	**20**	**18**	**0**	**0**	**2**
საფინანსო დეპარტამენტი	**7**	**9**	**7**	**0**	**0**	**2**
ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისი	**6**	**11**	**6**	**0**	**0**	**5**
სწავლა-სწავლების ცენტრი	**1**	**3**	**3**	**0**	**0**	**0**
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა	**2**	**3**	**3**	**0**	**0**	**0**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 3 წლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მიხედვით, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს 2024 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით სულ შესასრულებელი ჰქონდათ 157 აქტივობა, რომელთაგან:

- შესრულებულია - 134 აქტივობა;
- მეტწილად შესრულებულია - 1 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია 7 აქტივობა;
- ვერ შესრულდა/გადატანილია 2025-ში - 15 აქტივობა.

შესრულების აღნიშნული მაჩვენებლების სტატისტიკური გადანაწილება წარმოდგენილია წრიული დიაგრამის სახით.



<u>სტრუქტურული ერთეული: ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
3	**6**	**2**	**0**	**0**	**4**

2024 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით დეპარტამენტს უნდა შეესრულებინა 3 ამოცანა და 6 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 2 აქტივობა (100%-ით);
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია - 0 აქტივობა;
- შეუსრულებელია - 4 აქტივობა.

შეუსრულებელი აქტივობებს მიეკუთვნება:

- „წახალისების მექანიზმების გაუმჯობესება და დანერგვა“;
- „კარიერული ზრდის მექანიზმის დახვეწა და დანერგვა“;
- „კვალიფიკაციის ამაღლების ხელმისაწვდომობის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა“;
- „ERP სისტემის დანერგვისთვის ტექნიკური დავალების შემუშავება“.

<u>შეფასება: დეპარტამენტი ნაწილობრივ ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>სტრუქტურული ერთეული: სასწავლო პროცესების მართვის სამსახური</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
10	14	14	0	0	0

2024 წლის ანგარიშში, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილია 10 ამოცანა და 14 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია -14 აქტივობა;
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია - 0 აქტივობა:
- შეუსრულებელია - 0 აქტივობა.

სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მიერ შესრულებული აქტივობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემაში VICI, შეიქმნა საფინანსო მოდული, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ უნივერსიტეტმა აკონტროლოს სტუდენტის სწავლის საფასურის გადახდით (ნებისმიერი წყაროდან) მიღებული შემოსავალი, ხოლოს სტუდენტს აწვდის ინფორმაციას მის მიერ გადახდილი და გადასახდელი თანხების, აგრეთვე გადახდის ვადების შესახებ;
- საფინანსო მოდულში მომენტალურად აისახება სტუდენტის სწავლის საფასურის ფაქტი;
- საფინანსო მოდულიდან შესაძლებელია ნებისმიერი სტუდენტის გაფრთხილება აკადემიური დავალიანების შესახებ;

- სტუ-ს საფინანსო დეპარტამენტში გამოყოფილია თანამშრომლები, რომლებსაც წვდომა აქვთ VICI-ის საფინანსო მოდულთან და ევალებათ უწყვეტად აკონტროლონ სტუდენტის უნივერსიტეტთან ურთიერთობის ყველა ასპექტი;
- სტუ-ს ფაკულტეტების მენეჯერის სამსახურებსა და სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში წვდომა აქვთ VICI-ის საფინანსო მოდულთან და ევალებათ უწყვეტად აკონტროლონ სტუდენტის უნივერსიტეტთან საფინანსო ურთიერთობის სათანადო საკითხები;
- VICI-ის საფინანსო მოდულიდან შესაძლებელია გადახდებთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშის მიღება.
- დაზუსტდა დოკუმენტის პროექტის სტრუქტურა;
- დაზუსტდა შემსრულებლები (გაიზარდა შემსრულებელი პირების რაოდენობა) და გადანაწილდა ფუნქციები.
- დამუშავდა ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების პროექტები.
- მუშავდება ხარჯების დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის პროექტი.
- მუშავდება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაანგარიშების ვერსია ხარჯების დაგეგმვის მეთოდოლოგიის პროექტის მიხედვით.
- დანერგილია სტუდენტებისთვის აკადემიური და სტუდენტური სერვისების ერთიანი "ინტერფეისი".
- შეიქმნა და დაინერგა კვლევითი და სასწავლო კომპონენტების ინტეგრირების მექანიზმები.
- სასწავლო პროგრამებში განხორციელებულია ცვლილებები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების მიზნით.
- შემუშავებულია ერთობლივი/ორდიპლომიანი პროგრამების მიმართულების განვითარების გეგმა.
- განსაზღვრულია პრიორიტეტული პროგრამები საერთაშორისო აკრედიტაციისათვის.
- ხორციელდება დასაქმების ფორუმების ორგანიზება;
- გაფორმდა მემორანდუმები დამსაქმებლებთან:
    - "ნიკორა ტრეიდ ჰოლდინგთან";
    - ქალაქ რუსთავის N23საჯარო სკოლასთან;

- შპს "ლაიონტრანსთან";
- შპს ""ავტოტექნოსთან" და სხვ.

- ჩატარდა პროფორიენტაციის ღონისძიება აბიტურიენტებისათვის ქალაქ რუსთავში.
- ჩატარდა ტრენინგი კურსზე „ეფექტური კომუნიკაცია და კორპორატიული ეთიკა“ ფაკულტეტების თანამშრომლებისათვის. თითოეულ ფაკულტეტზე ტრენინგის ხანგრძლივობა შეადგენდა 1(ერთი) დღეს, სულ ჩატარდა 13 (ცამეტი) ტრენინგი.
- ჩატარდა სტუდენტებისთვის დამსაქმებლებთან საკომუნიკაციო ტრენინგ/კურსები ფაკულტეტების მიხედვით (13 ფაკულტეტი - თითოეულ ფაკულტეტზე 2(ორი) დღე, სულ 26(ოცდაექვსი) ტრენინგი.
- ჩატარდა დასაქმების ფორუმი/კვირეული/
- შემუშავებული იქნა პროექტი „ერთიანი ელექტრონული ბაზა სტუდენტებისთვის“.
- ჩატარდა სამთავრობო პროგრამის ფარგლებში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან სტუდენტების შეხვედრა ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის, ასევე "მწვანე და აგროსტიპენდიების" მოპოვების მიზნით.
- ჩატარდა ექსკურსია-სემინარი ფარმაცევტული კომპანიის "ჯი ემ ფარმასიუთიქალი", სადაც 4 ფაკულტეტის სტუდენტები აღნიშნული კომპანიის სამეწარმეო პროცესს გაეცნენ და სხვა.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ხდება ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმების შემუშავება და განხორციელება.

<u>შეფასება: სამსახური ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>სტრუქტურული ერთეული: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრი</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
3	7	5	0	2	0

2024 წლის ანგარიშში სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილია 3 ამოცანა და 7 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 5 აქტივობა
    1. **ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება/შექმნა (ამოცანა 3.3.1)** - შეიქმნა/დაემატა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა " ტვირთების ექსპედირება" პროგრამაზე მუშაობა მიმდინარეობდა მაისის ბოლომდე, შემდგომ ივნისის თვეში გაიგზავნა განაცხადი, ივლისის თვეში იყვნენ ექსპერტები ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, შემდგომ 23 აგვისტოს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოგვენიჭა განხორციელების უფლება. ავტორიზაციის გადაწყვეტილება 26/08/2024 *MES5240001016484*;
    2. **საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება (ამოცანა 3.3.2)** - ჩატარდა შეხვედრები/სემინარები მოთხოვნიდან გამომდინარე, ტრენინგი;
    3. **საინფორმაციო კამპანიების განხორციელება (ამოცანა 3.3.2)** - ჩატარდა შეხვედრები/ ტრენინგი პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის, სხვადასხვა შეხვედრები ფაკულტეტებთან. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერების“ ტრენინგი;
    4. **დამსაქმებლებთან ინტენსიური შეხვედრების ორგანიზება (ამოცანა 3.2.2)** - ჩატარდა შეხვედრები, შეხვედრები ფაკულტეტებთან. FESTO DADACTIC SE-ის გლობალური განათლების მიმართულებათა

აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი ნადერ იმანი, FESTO DADACTIC SE, DENKENDORF-ის გლობალური გაყიდვების მენეჯერი დიდემ ოზკანი და კომპანია „სოფთმასტერის'" დამფუძნებელთან განხორციელდა შეხვედრა, სადაც განხილულ იყო სამომავლო თანამშრომლობა სტუ-სთან და ახალი პროგრამების შემუშავება;

5. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმების განხორციელება (ამოცანა 7.1.1) -** ჩატარდა ინკლუზიური პროფესიული განათლების ტრენინგი პროფესიული მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის, "ცნობიერების ამაღლება ინკლუზიურ განათლებაში-აუტიზმი" გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები.

- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია -2 აქტივობა
    1. **მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება (ამოცანა 3.3.1)** - აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულია (30%-ით) და არის შემუშავების პროცესში;
    2. **სტუ-ის რეგიონალური პროფესიული კოლეჯების განვითარება (ამოცანა 3.3.1) -** ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები, კერძოდ გაკეთდა ცენტრალური გათბობა. დიდი ჯიხაიშის პროფესიულ კოლეჯში შეჩერებულია სარემონტო სამუშაოები და გაგრძელდება მომავალ წელს. შესაბამისად სასწალო პროცესი არ მიმდინარეობს. აქტივობა შესრულებულია 50%-ით.
- შეუსრულებელია - 0 აქტივობა.

<u>შეფასება: დეპარტამენტი უმეტესწილად ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>სტრუქტურული ერთეული: საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
10	16	16	0	0	0

2024 წლის ანგარიშში დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია 10 ამოცანა და 16 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 16 აქტივობა (100%-ით);
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია -0 აქტივობა;
- შეუსრულებელია - 0 აქტივობა.

<u>შეფასება: დეპარტამენტი ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>სტრუქტურული ერთეული: სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
4	6	4	0	0	2

2024 წლის ანგარიშში დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია 4 ამოცანა და 6 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 4 აქტივობა;
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია -0 აქტივობა;
- შეუსრულებელია 2 აქტივობა:
  - **ხარჯების დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება (ამოცანა 1.2.2) -** მოცემული აქტივობის წამყვანია საფინანსო დეპარტამენტი, რომელიც მიუთითებს რომ „სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 09 სექტემბრის N133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 05 აპრილის ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ N 99 ბრძანებისა და სხვა ნორმატიული აქტების, ასევე „სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის

პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესის“ საფუძველზე, რომელიც გაწერილია „უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის შედგენის წესში“ და მტკიცდება აკადემიური და წარმომადგენლობით საბჭოების მიერ. შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება აღირიცხება სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე მათი წარმოშობის წყაროს მიუხედავად. ხარჯები გაიწევა მიზნობრივად, ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანების "სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის" შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის N1780988 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში მოქმედი ტერიტორიული ორგანოებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ძალაში შევიდა 2024 წლის იანვრიდან. შესაბამისად, უნივერსიტეტი სააღრიცხვო პოლიტიკას განახორციელებს აღნიშნული დოკუმენტით. უნივერსიტეტი არის სახაზინო მომსახურებაზე მყოფი, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხელმძღვანელობს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო, ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით. აქედან გამომდინარე, ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება უნივერსიტეტის მიერ დამოუკიდებლად ვერ ხორციელდება, რადგან პრეროგატივა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაზე ეკუთვნის ზემდგომ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს.

- **„ხარჯების დაგეგმვის მეთოდოლოგიის დანერგვა უნივერსიტეტში“ (ამოცანა 1.2.2)** - მოცემული აქტივობის წამყვანი დეპარტამენტია საფინანსო დეპარტამენტი, რომელიც მიუთითებს რომ უნივერსიტეტში ხარჯები დაგეგმილია „უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის შედგენის წესი“- ს შესაბამისად, ყველა საკანონმდებლო აქტების გათვალისწინებით.

<u>შეფასება: დეპარტამენტი უმეტესწილად ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>სტრუქტურული ერთეული: მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტი</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
15	18	18	0	0	0

2024 წლის ანგარიშში დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია 15 ამოცანა და 18 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 18 აქტივობა 100% -ით;
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია - 0 აქტივობა;
- შეუსრულებელია - 0 აქტივობა.

ასევე აღსანიშნავია, რომ მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტმა **დამატებით წარმოადგინა 3 ამოცანა შესაბამისი 3 აქტივობით,** რომლებიც უნივერსიტეტის ცენტრალური სამოქმედო გეგმით არ იყო გათვალისწინებული და რეკომენდირებულია აღნიშნული აქტივობების უნივერსიტეტის ახალ 3 წლიან სამოქმედო გეგმაში ასახვა. სამივე აქტივობა 100% არის შესრულებული, ესენია:

1. **აქტივობა „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის 6-ე სტანდარტის შესაბამისად თვითშეფასების მომზადება“** (ამოცანა - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად სტუ - ს ავტორიზაციისთვის მზადება).
2. **აქტივობა „იუნესკოს კვლევითი ინსტიტუტის მიერ დადგენილი ფორმების მიხედვით ანგარიშის მომზადება“** (ამოცანა - იუნესკოს ეგიდით მოთხოვნილი კვლევებისა და განვითარების (R@D) ყოველწლიური სტატისტიკური კვლევა);

3. **აქტივობა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაწესებული ფორმების შესაბამისად სტუ -ს ფაკულტეტებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ თვითშეფასების ანგარიშების შედგენა და მოსმენა“** (ამოცანა - საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაწესებული ფორმების შესაბამისად სტუ -ს სამეცნიერო საქმიანობის შეფასება).

<u>შეფასება: დეპარტამენტი ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>სტრუქტურული ერთეული: ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
3	**6**	**6**	**0**	**0**	**0**

2024 წლის ანგარიშში დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია 3 ამოცანა და 6 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 6 აქტივობა (100%-ით);
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია - 0 აქტივობა;
- შეუსრულებელია - 0 აქტივობა.

მოცემული ანგარიშიდან ამოღებულია 2 აქტივობა რომელიც ეკუთვნის ამოცანა 1.6.4-ს „უნივერსიტეტის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის განვითარება“. ეს აქტივობებია:

- „უნივერსიტეტის ერთიანი ელექტრონული მართვის სისტემაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის შემუშავება“;
- „ERP სისტემის დანერგვისთვის ტექნიკური დავალების შემუშავება“.

<u>შეფასება: დეპარტამენტი ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>სტრუქტურული ერთეული: შესყიდვების დეპარტამენტი</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
3	**5**	**5**	**0**	**0**	**0**

2024 წლის ანგარიშში დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია 3 ამოცანა და 5 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 5 აქტივობა 100% -ით;
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია - 0 აქტივობა;
- შეუსრულებელია - 0 აქტივობა.

<u>შეფასება: დეპარტამენტი ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>სტრუქტურული ერთეული: ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოებისა და ლოგისტიკის დეპ.</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
2	**4**	**4**	**0**	**0**	**0**

2024 წლის ანგარიშში დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია 2 ამოცანა და 4 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 4აქტივობა 100% -ით;
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია - 0 აქტივობა;
- შეუსრულებელია - 0 აქტივობა.

<u>შეფასება: დეპარტამენტი ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>სტრუქტურული ერთეული: მარკეტინგის და კომუნიკაციების ცენტრი</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
13	**21**	**16**	**1**	**4**	**0**

2024 წლის ანგარიშში მარკეტინგის და კომუნიკაციების ცენტრის მიერ წარმოდგენილია 13 ამოცანა და 4 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 16 აქტივობა, 100% -ით;
- მეტწილად შესრულებულია - 1 აქტივობა, 80%-ით;
- ნაწილობრივ შესრულებულია - 4 აქტივობა, 50%-ით;
- შეუსრულებელია - 0 აქტივობა.

<u>შეფასება: დეპარტამენტი უმეტესწილად ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

საერთაშორისო აკრედიტაციის ცენტრი					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
3	**8**	**7**	**0**	**1**	**0**

2024 წლის ანგარიშში დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია 3 ამოცანა და 8 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 7 აქტივობა;
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია - 1 აქტივობა (50%-ით);
  - „ორდიპლომიანი, ერთობლივი აკადემიური ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/დამტკიცება“ (ამოცანა 2.2.2 „სასწავლო პროცესების განვითარება“);
- შეუსრულებელია - 0 აქტივობა.

დეპარტამენტის მიერ შესრულებული აქტივობებიდან აღსანიშნავია:

- შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების პროექტები;
- 1.ABET აკრედიტაციაზე შემდგომი წარდგენის მიზნით ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტზე მომზადებულია ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა "კომპიუტერული ინჟინერია", რომელიც

წარდგენილია აკრედიტაციის მოსაპოვებლად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
2. მომზადებულია ABET აკრედიტაციაზე წარსადგენი პრიორიტეტული ყველა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშები, კერძოდ

1. ბიოსამედიცინო ინჟინერია (ქართულ ენოვანი).
2. კომპიუტერული ინჟინერია (ქართულ ენოვანი.
3.კომპიუტერული მეცნიერებები (ქართულ და ინგლისურენოვანი).
4. სამოქალაქო ინჟინერია (ქართულ და ინგლისურენოვანი).
5 ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია ქართულენოვანი კონსულტანტი ექსპერტების კომენტარების გათვალისწინებით.

<u>შეფასება: დეპარტამენტი ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

სტრუქტურული ერთეული: სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპ.					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
7	20	18	0	0	2

2024 წლის ანგარიშში სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილია 7 ამოცანა და 20 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 18 აქტივობა;
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია - 0 აქტივობა;
- შეუსრულებელია - 2 აქტივობა:
    1. **„უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სტუდენტური სერვისების საინფორმაციო სივრცის და მასზე ღონისძიებების კალენდრის განთავსება“ (ამოცანა 6.1.3)** – დეპარტამენტი შეუსრულებლობის მიზეზად მიუთითებს, რომ „დამადასტურებელი დოკუმენტის არ ქონის გამო ვწერთ 0%“-ს;
    2. **„მულტიკულტურული ფესტივალების, ფორუმებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება“ (ამოცანა 6.2.3)** – დეპარტამენტი შეუსრულებლობის მიზეზად მიუთითებს, რომ „დამადასტურებელი დოკუმენტის არ ქონის გამო ვწერთ 0%“-ს, რეალურად კი მსგავსი ტიპის არაერთი ღონისძიება აქვთ შესრულებული წლის განმავლობაში.

<u>შეფასება: დეპარტამენტი სრულად ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

საფინანსო დეპარტამენტი					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
7	**9**	**7**	**0**	**0**	**2**

2024 წლის ანგარიშში დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია 7 ამოცანა და 9 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია -7 აქტივობა;
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია - 0 აქტივობა;
- შეუსრულებელია - 2 აქტივობა:
    1. **ხარჯების დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება (ამოცანა 1.2.2)** - დეპარტამენტი მიუთითებს რომ „სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 09 სექტემბრის N133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 05 აპრილის ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ N 99 ბრძანებისა და სხვა ნორმატიული აქტების, ასევე

„სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესის“ საფუძველზე, რომელიც გაწერილია „უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის შედგენის წესში“ და მტკიცდება აკადემიური და წარმომადგენლობით საბჭოების მიერ. შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება აღირიცხება სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე მათი წარმოშობის წყაროს მიუხედავად. ხარჯები გაიწევა მიზნობრივად, ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანების "სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის" შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის N1780988 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში მოქმედი ტერიტორიული ორგანოებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ძალაში შევიდა 2024 წლის იანვრიდან. შესაბამისად, უნივერსიტეტი სააღრიცხვო პოლიტიკას განახორციელებს აღნიშნული დოკუმენტით. უნივერსიტეტი არის სახაზინო მომსახურებაზე მყოფი, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხელმძღვანელობს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო, ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით. აქედან გამომდინარე, ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება უნივერსიტეტის მიერ დამოუკიდებლად ვერ ხორციელდება, რადგან პრეროგატივა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაზე ეკუთვნის ზემდგომ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს.

2. **„ხარჯების დაგეგმვის მეთოდოლოგიის დანერგვა უნივერსიტეტში“ (ამოცანა 1.2.2)** - დეპარტამენტი მიუთითებს რომ უნივერსიტეტში ხარჯები დაგეგმილია „უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის შედგენის წესი“- ს შესაბამისად, ყველა საკანონმდებლო აქტების გათვალისწინებით.

<u>შეფასება: დეპარტამენტი უმეტესწილად ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>სტრუქტურული ერთეული: ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისი</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
6	11	6	0	0	5

2024 წლის ანგარიშში დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია 6 ამოცანა და 11 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 6 აქტივობა;
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია -0 აქტივობა;
- შეუსრულებელია 5 აქტივობა:
    1. **„მენტორების ჩართულობით ინტერპრენერშიპის მასტერკლასების ორგანიზება სტუდენტებისათვის“**- სტრუქტურული ერთეული მიუთითებს რომ აღნიშნულ აქტივობაზე საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტმა აიღო სრული პასუხისმგებლობა;
    2. **„სტუდენტური საპროექტო ჯგუფებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა“** – სტრუქტურული ერთეული მიუთითებს რომ აღნიშნულ აქტივობაზე საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტმა აიღო სრული პასუხისმგებლობა;
    3. **„ინოვაციურ ფესტივალებში, ჰაკათონებში და სხვა აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა“** - სტრუქტურული ერთეული მიუთითებს რომ აღნიშნული აქტივობა 2024 წლის საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა;

4. **„GITA-ს ბაზაზე არსებული შესაძლებლობების გაცნობის მიზნით საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება სტუდენტებთან“** – სტრუქტურული ერთეული მიუთითებს რომ gita-ს 2024 წლის ბოლო 6 თვის განმავლობაში არ გაუმართავს მსგავსი ღონისძიება;
5. **„სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაციის მიზნით მარკეტინგული ღონისძიებების გატარება“** - აღნიშნული აქტივობა სტრუქტურული ერთეულის მიერ შეფასებული არ არის. უმჯობესი იქნება აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეული, მისი შინაარსიდან გამომდინარე, მარკეტინგის და კომუნიკაციების ცენტრი იყოს.

<u>შეფასება: დეპარტამენტი უმეტესწილად ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>სტრუქტურული ერთეული: სწავლა-სწავლების ცენტრი</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
1	3	3	0	0	0

2024 წლის ანგარიშში დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია 1 ამოცანა და 3 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 3 აქტივობა;
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია -0 აქტივობა;
- შეუსრულებელია - 0 აქტივობა.

ამასთან სტრუქტურული ერთეული მიუთითებს რომ მოცემული აქტივობების შესრულების პროცესში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. **„ადამიანური კაპიტალის გადამზადების სატრენინგო პაკეტის შემუშავება“ (ამოცანა 1.3.3)** - ჩატარდა სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების არსებული გადამზადების პაკეტების მონიტორინგი; მოდიფიცირებულ იქნა მათი ვერსიები ახალი მოთხოვნების შესაბამისად. შემუშავდა ტრეინინგის ახალი პაკეტი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით (Google სერვისები და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება). შემუშავებული სატრენინგო პაკეტების ელექტრონული

ვერსიები გაეგზავნა ელ ფოტით ტრეინინგის თითოეულ მონაწილეს და ფაკულტეტების ხელმძღვანელობას და ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტს;

2. **გადამზადების პროცესის განხორციელება (ამოცანა 1.3.3)** - ზოგადი მეთოდოლოგიების მიმართულებით გადამზადდა სტუ-ის ექვსი ფაკულტეტის აკადემიური და დამხმარე პერსონალი. ჩატარდა ტრეინინგების ციკლი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით (Google სერვისები და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება). აქტივობები განხორციელდა ადამიანური კაპიტალის დეპარტამენტთან შეთანხმებით. ტრეინინგების განხორციელების დოკუმენტაცია: მონაწილეთა დასწრების ხელმოწერილი სიები. ტრეინინგების ფოტო და ვიდეო მასალები განთავსებული ცენტრის საიტსა და ფეისბუქის გვერდებზე. მონაწილეთათვის გაცემული სერტიფიკატები, რომლებიც გაეგზავნა ადამიანური კაპიტალის მართის დეპარტამენტსა და ფაკულტეტების ადმინისტრაციებს.
3. **ადამიანური კაპიტალის გადამზადების შედეგების ანალიზი და შეფასება (ამოცანა 1.3.3)** - სამუშაოების შეფასება განხორციელდა ორი მიმართულებით; 1.ჩატარდა ცენტრის თანამშრომლების მიერ ჩატარებული სამუშაოების ანალიზი მათი პერმანენტული გამოკითხვების საშუალებით; 2.შესწავლილ იქნა ტრეინინგის მონაწილეთა მიერ ჩვენი თხოვნით დაფიქსირებული სურვილები, მოსაზრებები და მოთხოვნები. აქტივობები განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციით. გადამზადების პროცესის შეფასების ამსახველი დოკუმენტად გამოყენებულ იქნა მონაწილეთა მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები" ტრეინინგით კმაყოფილების კითხვარში", რომელიც შემუშავებულია ხარისხის სამსახურთან შეთანხმებით.

<u>შეფასება: დეპარტამენტი უმეტესწილად ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>სტრუქტურული ერთეული: საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა</u>					
ამოცანების რაოდენობა	აქტივობების რაოდენობა	აქტივობის შესრულების შეფასება			
		შესრულებული (90-100%)	მეტწილად შესრულებული (55-85%)	ნაწილობრივ შესრულებული (15-50%)	შეუსრულებელი (0-10%)
2	**3**	**3**	**0**	**0**	**0**

2024 წლის ანგარიშში დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია 2 ამოცანა და 3 აქტივობა, მათ შორის:

- შესრულებულია - 3 აქტივობა;
- მეტწილად შესრულებულია - 0 აქტივობა;
- ნაწილობრივ შესრულებულია - 0 აქტივობა;
- შეუსრულებელია - 0 აქტივობა.

ამასთან სტრუქტურული ერთეული მიუთითებს რომ მოცემული აქტივობების შესრულების პროცესში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. **ტექნიკური საშუალებების (კომპიუტერების) განახლება პროგრამული ინტერფეისის გასაუმჯობესებლად (ამოცანა 1.6.3)** - ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გაძლიერებული იყო კომპიუტერულ დარბაზში 50 კომპიუტერი. ასევე გაძლიერებულია თანამშრომლების ყველა კომპიუტერი. მიღებულია 3 ახალი კომპიუტერი. მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ შესყიდვა შეტანილია 2024 წლის ბიუჯეტში

2. **სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული საბიბლიოთეკო ტრენინგებისა და ვორკშოპების ორგანიზება (1.6.3)** - 2022 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის დეკემბრის ჩათვლით ბიბლიოთეკაში ტარდებოდა ტრენინგები თემაზე "ელექტრონული ბიბლიოთეკა". ინფორმაცია ტრენინგების ვადებზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე https://gtu.ge/Library/services/trainings.php.
3. **სასწავლო ლიტერატურის ფონდის/ელ. რესურსების განახლება (3.1.4)** - ფაკულტეტებიდან მოთხოვნის საფუძველზე ბიბლიოთეკა ეხმარება საბიბლიოთეკო ერთეულების მოძიებასა და შეძენაში; ბიბლიოთეკაში ხდება მოთხოვნადი ბეჭდური საბიბლიოთეკო ერთეულების დიჯიტალიზაცია; ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან

<u>შეფასება: დეპარტამენტი ასრულებს კალენდარული წლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.</u>

<u>დ ა ს კ ვ ნ ა</u>

2022-2024 წლების მონიტორინგის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესს მეტწილად გაართვეს თავი. სამოქმედო გეგმით გაწერილი საანგარიშო პერიოდის ამოცანათა უმეტესი ნაწილი სრულად შესრულდა, თუმცა ზოგიერთ მიმართულებაზე გამოიკვეთა გარკვეული შეფერხებები და ხარვეზები, რაც მომავალი 3 წლიანი (2025-2027 წ.წ) სამოქმედო გეგმით მარტივად გამოსწორებადია.

საბოლოო ჯამში, არსებული ვითარების მიუკერძოებელი შეფასება და კომპლექსური ვორკშოპების ჩატარება დაეხმარება სტრუქტურულ ერთეულებს დაგეგმილი ამოცანების განსაზღვრულ დროში შესრულების, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებისა და საერთო ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით.